საერთაშორიოსო ტურნირი კარატეში
OPEN TBILISI

თბილისი

23-24 ნოემბერი, 2024

დებულება დამტკიცებულია
საქართველოს სპორტული კარატეს
ეროვნული ფედერაციის გამგეობის მიერ

ა(ა)იპ საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია, ს.კ.: 405562500
მის.: უნივერსიტეტის ქ. #15ა, 0186 თბილისი, საქართველო

ბატონი თემურ გიგნაძე, საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

მისასალმებელი სიტყვა

ძვირფასო სპორტსმენებო, მწვრთნელებო, ოფიციალურ პირებო და საპატიო სტუმრებო,

დიდი სიამოვნებით და სიამაყით მივესალმები კარატეს საერთაშორისო ტურნირზე Open Tbilisi 2024, რომელსაც მასპინძლობს საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია. ეს პრესტიჟული ღონისძიება წარმოადგენს კიდევ ერთ ეტაპს ჩვენს მოგზაურობაში კარატეს ხელოვნების პოპულარიზაციის გზაზე, დისციპლინის, რომელიც განასახიერებს პატივისცემის, შეუპოვრობისა და ბრწყინვალების ღირებულებებს.

საქართველოს უნიკალურ და შესანიშნავ დედაქალაქ თბილისს, აქვს პატივი უმასპინძლოს ნიჭიერი სპორტსმენების საზოგადოებას მთელი მსოფლიოდან. თქვენი აქ ყოფნა აღნიშნავს თქვენი სპორტისადმი თავდადებას, ერთიანობისა და მეგობრობის სულისკვეთებას. მოხარული ვართ, რომ ტურნირის განმავლობაში ვიხილავთ სპორტული და შემოქმედებითი უნარების დაუვიწყარ მომენტებს.

ჩვენი ფედერაცია მოწოდებულია ხელი შეუწყოს კონკურენტუნარიან და ამასთან, ინკლუზიურ გარემოს, სადაც თითოეულ მონაწილეს შეუძლია აჩვენოს თავისი შესაძლებლობები და იბრძოლოს გამარჯვებისთვის. ჩვენმა გუნდმა გულმოდგინედ იმუშავა იმისთვის, რომ ღონისძიება შეესაბამებოდეს ორგანიზების საუკეთესო სტანდარტებს.

გულწრფელ მადლობას ვუხდი ყველა მოხალისეს, სპონსორსა და მხარდამჭერს, რომელთა ძალისხმევამ შესაძლებელი გახადა ასპარეზობის გამართვა. თქვენი თანადგომა არის ჩვენი წარმატებისა და კარატეს წინსვლის საფუძველი.

ასპარეზობის განმვალობაში ჩვენ გველის საინტერესო მოგზაურობა სპორტის სამყაროში და მსურს მოვუწოდო თვითოეულ თქვენთაგანს, გაერთიანდეს მეგობრობისა და პატივისცემის სულით, რომელიც განსაზღვრავს კარატეს, როგორც სპორტს.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს დედაქალაქ თბილისში. დაე, კარატეს საერთაშორისო ტურნირი Open Tbilisi 2024 იყოს დაუვიწყარი და მდიდარი გამოცდილება თვითოეული თქვენთაგანისთვის.

გმადლობთ!

თემურ გიგნაძე
სსკეფ-ის პრეზიდენტი

ორგანიზატორი
საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია

მხარდამჭერი ორგანიზაცია
- საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
- თბილისის მერია
- შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“

საორგანიზაციო საკითხები
ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე:
დავით ტყებუჩავა - 577 545 777 , ელ. ფოსტა: datotkebuchava@yahoo.com

ტურნირის მსაჯობა
ტურნირზე იმსაჯებენ კარატეს მსოფლიოსა და ევროპის ფედერაციის, ასევე საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მიერ აკრედიტირებული მსაჯები.

ტურნირის მთავარი მსაჯი: მსოფლიო კარატეს ფედერაციის (WKF) A კატეგორიის მსაჯი და საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე თათი მელუა.

სამსაჯო და სამწვრთნელო სემინარები 20-21-22 ნოემბერი, 2024 წელი, მისამართზე: უნივერსიტეტის ქ. 15ა, ახალი ოლიმპიური სპორტის სასახლე;

ტურნირის მიზნები და ამოცანები
. საქართველოში სპორტული კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია;
. სპორტსმენების და მსაჯების ხელშეწყობა გამოცდილების მიღებისა და დონის ამაღლების მიზნით;
. საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ სპორტსმენების სათანადო სპორტულ კონდიციაში მოყვანა;
. აღნიშნულ ტურნირს ასევე აქვს, სპორტსმენთა საკვალიფიკაციო და სარეიტინგო მნიშვნელობა.

ტურნირის სარეგისტრაციო პირობები
სპორტსმენები ტურნირში იასპარეზებენ იმ ასაკობრივ კატეგორიაში, რომელიც შეესაბამება ტურნირის რეგისტრაციის ბოლო დღეს, 21 ნოემბერს 2024 წელი.

ტურნირზე მონაწილეობის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ ონლაინ ფლატფორმაზე www.sportlab.ge შესაბამის ასაკობრივ და წონით კატეგორიაში არაუგვიანეს 2024 წლის 21 ნოემბრისა, წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტსმენი შეჯიბრზე არ დაიშვება.

უცხო ქვეყნის კლუბებმა სარეგისტრაციო განაცხადი უნდა გამოაგზავნონ შემდეგ მეილზე: gsknf.office@gmail.com.

ასპარეზობაში მონაწილე სპორტსმენების ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელია მისი წარმდგენი სპორტული კლუბის ხელმძღვანელი.

რეგისტრაციის დახურვის შემდგომ ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოითხოვს კლუბი, განხორციელდება მხოლოდ საჯარიმო თანხის გადახდის შემთხვევაში, რომელიც შეადგენს 50 ლარს ყოველ ცვლილებაზე. შეჯიბრების დღეს არანაირი ცვლილება არ განხორციელდება. კლუბის ხელმძღვანელი ვალდებულია რეგისტრაციის დახურვამდე შეამოწმოს მის მიერ მიმდინარე შეჯიბრზე დარეგისტრირებული მონაწილეების სია **www.sportlab.ge** (საკუთარი კლუბის გვერდზე „აქტივობები“ -ს განყოფილება);

ტურნირზე მონაწილეობის საფასური

საერთაშორისო ტურნირი “Open Tbilisi”-ს მონაწილეობის საფასური საქართველოს მოქალაქეებისთვის შეადგენს 40 ლარს, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის 35 აშშ დოლარს. გუნდური ასპარეზობის საფასური კუმიტეში შეადგენს 100 ლარს, კატაში 50 ლარს საქართველოს გუნდებისთვის, ხოლო უცხოური გუნდებისთვის 100$ გუნდური კუმიტე და გუნდური კატა 50$.

საქართველოს კლუბებმა სპორტმენების მონაწილეობის საფასურის გადახდა უნდა განახორციელონ უნაღდო ანგარიშწორებით შემდეგ საბანკო რეკვიზიტზე: საქართველოს ბანკი, GE21BG0000000538430942 არაუგვიანეს რეგისტრაციის დასრულების თარიღისა (21 ნოემბერი 2024 წელი).

უცხოური გუნდებისათვის მონაწილეობის საფასურის გადახდა ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით, აწონვების დღეს, 22 ნოემბერს 2024 წელს.

მონაწილეობის საფასურის გადაუხდელობის ან არადროული ჩარიცხვის შემთხვევაში სპორტსმენი ვერ მიიღებს შეჯიბრებაზე მონაწილეობას. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ სპორტსმენის სხვადასხვა მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სპორტსმენს/კლუბს მონაწილეობის საფასური არ დაუბრუნდებათ.

ტურნირზე დაიშვებიან საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნულ ფედერაციაში გაწევრიანებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კლუბები, რომელთაც გადახდილი აქვთ წლიური საწევრო 60 ლარი და წევრი ფიზიკური პირები, რომელთაც გადახდილი აქვთ დადგენილი საწევრო გადასახადი 12 ლარი. რეგისტრირებულმა კლუბებმა უნდა წარმოადგინონ წლიური საწევროს გადახდის დამადასტურებელი საბუთი. წინააღმდეგ შემთხვევაში კლუბის სპორტსმენები არ დაიშვებიან ჩემპიონატზე.

სპორტსმენთა ტრანსპორტირების და კვების ხარჯები უნდა გასწიონ შესაბამისმა სპორტულმა კლუბებმა.

შენიშვნა საფასურის ჩარიცხვის ორგანიზების თაობაზე: მონაწილეობის საფასური კლუბებემა უნდა გადაიხადონ საბანკო ჩარიცხვით ერთიანად, ზემოთ მითითებულ ანგარიშზე. ცალკეული სპორტსმენების მონაწილეობის საფასური ჩარიცხვა არ მიიღება. ჩარიცხვის დროს დანიშნულებაში უნდა მიუთითოთ კლუბის და ასპარეზობის სახელი, ასევე მონაწილეთა რაოდენობა. თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს რეგისტრაციის დახურვამდე, დაგვიანების შემთხვევაში კლუბი ასპარეზობიდან მოიხსნება. გარდა მუნიციპალური ა(ა)იპ-ებისა.

ტურნირზე მოქმედი წესები

ტურნირი ჩატარდება მსოფლიო კარატეს ფედერაციის დამტკიცებული წესებით (WKF).
ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით ტურნირზე დაიშვებიან მხოლოდ საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის წევრი სპორტსმენები და უცხო ქვეყნების სპორტსმენები.

სპორტსმენი რომელიც 2 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება ტატამზე შესაბამისი აღჭურვილობით (კაპა, შესაბამისი ფერის ქამარი და კარატეს ამუნიცია), დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრებიდან.
10 წლის ასაკიდან „კაპა“ ყველა კატეგორიის მონაწილეთათვის სავალდებულოა, ხოლო 14 წლიდან დამცავი ჟილეტი ვაჟებში, გოგონებში სპეციალური მკერდის დამცავები.

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განსაზღვრული იქნება დარბაზში მოქმედების წესები, რომელთა დაცვა სავალდებულო იქნება, როგორც სპორტული კლუბების წარმომადგენლებისათვის, ასევე გულშემატკივრებისათვის.

სპორტული კლუბის წარმომადგენლის ან გულშემატკივრის მხრიდან არაეთიკური საქციელი უმალ დაფიქსირდება ტურნირის სამსაჯო კომიტეტის მიერ და გამოტანილი იქნება შესაბამისი სადისციპლინო სასჯელი.

მწვრთნელი სპორტული ფორმის გარეშე ტატამთან არ დაიშვება, ხოლო არაეთიკური საქციელის შემთხვევაში დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრებიდან.

დაჯილდოვების ცერემონიალზე სპორტსმენები დაიშვებიან მხოლოდ კარატეგით ან სტანდარტული სპორტული ფორმით **(მაისური და /ან ზედა მოსაცმელი გრძელი სპორტული შარვალით).**

სპორტსმენების აწონვები

აწონვები განხორციელდება 2024 წლის 22 ნოემბერს, თბილისში, უნივერსიტეტის ქ. 15ა, საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის ოფისში 10.00 საათიდან 17.00 საათამდე.

სპორტსმენის წონა ზუსტად უნდა აკმაყოფილებდეს წონითი კატეგორიის მოთხოვნას, დასაშვებია ბიჭებში +200გრ და გოგონებში +500გრ. სხვაობა. სპორტსმენი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას დისკვალიფიცირებული იქნება და სარეიტინგო ქულა არ დაეწერება. ყველა სპორტსმენი უნდა გამოცხადდეს მოსამზადებელ სივრცეში შეჯიბრების ორგანიზატორების მიერ გამოძახებიდან არაუგვიანეს 15 წუთისა, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მწვრთნელს, დაგვიანების შემთხვევაში სპორტსმენი მოიხსნება შეჯიბრებიდან.

ტურნირის ასაკობრივი და წონითი კატეგორიები

ასაკი, წ.წ.	ვაჟები, კგ	დრო, წთ	ასაკი, წ.წ.	გოგონები, კგ	დრო, წთ
6-7	-22 / -27/ +27	1.5	6-7	-22 / -27/ +27	1.5
8-9	-25 / -32 / -38 / +38	1.5	8-9	-28 / -35 /+35	1.5
10-11	-30 / -35 / -40 / -45 / +45	1.5	10-11	-30 / -35/ -40 / +40	1.5
12-13	-40 / -45 / -50/ -55 / +55	1.5	12-13	- 42/ - 47/ -52 / +52	1.5
14-15	-52 / -57/ -63 / -70 / +70	2	14-15	-47 / -54 / -61 / +61	2
16-17	-55 / -61 / -68 / -76 / +76	2	16-17	-48 / -53 / -59 / -66 / +66	2
18-20	-60 / -67/-75 / -84 / +84	3	18-20	-50 / -55 / -61 / -68 /+68	3
+18	-60 / -67 / -75 / -84 /+84	3	+18	-50/ -55/ -61/ -68/ +68	3
+18	აბსოლუტური	3	+18	აბსოლუტური	3
+18	გუნდური კუმიტე (3+1)	3	+18	გუნდური კუმიტე (3+1)	3
7-11	კატა		7-11	კატა	
12-13	კატა		12-13	კატა	
14-15	კატა		14-15	კატა	
16-17	კატა		16-17	კატა	

18-20	კატა		18-20	კატა	
+16	კატა		+16	კატა	
7-15	გუნდური კატა		7-15	გუნდური კატა	
16+	გუნდური კატა		16+	გუნდური კატა	

სპორტსმენების წილისყრა განხორციელდება 22 ნოემბერს 2024 და განთესვა გამოქვეყნდება ონლაინ პლატფორმაზე **www.sportlab.ge**

შენიშვნა:

- არ შეიძლება სხვადასხვა ასაკობრივ ან წონით კატეგორიაში ერთი და იგივე სპორტსმენის რეგისტრაცია, გარდა კუმიტესა და კატას დისციპლინებისა, 18-20 და უფროსების ასაკობრივი კატეგორიებისა.
- შეჯიბრება წარიმართება დამამშვიდებელი სისტემით. სპორტსმენი, რომელიც 2 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება შესაბამისი ეკიპირებით, დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
- გუნდური კატა გაიმართება ბუნკაის გარეშე.

სატურნირო პროგრამა

21 ნოემბერი (ოთხშაბათი) 2024 წ. - ტურნირზე რეგისტრაციის დასრულება;
22 ნოემბერი (ხუთშაბათი) 2024 წ. - აწონვები 10.00 საათიდან 17.00 საათამდე, ფედერაციის ოფისში, უნივერსიტეტის ქუჩა 15ა;
23 ნოემბერი (შაბათი) 2024 წ. - ტურნირის პირველი დღე, კატეგორიები:
კუმიტე: 14-15 / 16-17/ 18-20/+18 / +18 აბსოლუტური / + 18 გუნდური;
კატა: 14-15 / 16-17/ 18-20/ 16 +;
24 ნოემბერი 2024 წ (კვირა) ტურნირის მეორე დღე, კატეგორიები:
კუმიტე: 6-7 / 8-9 / 10-11/12-13;
კატა: 7-11 / 12-13.

ასპარეზობის დეტალური პროგრამა განთავსდება ონლაინ პლატფორმაზე სპორტსმენთა აწონვების დასრულების შემდგომ.

აღნიშნული ჩემპიონატი წარმოადგენს სარეიტინგო ასპარეზობას, A კლასის საერთაშორისო ტურნირს და სპორტსმენებს შედეგების მიხედვით დაეწერებათ შესაბამისი ქულები. (იხ. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ნაკრების შერჩევის წესი, დანართი 1).

ინფორმაცია სასტუმროებში განთავსებასთან დაკავაშირებით მოგეწოდებათ მოგვიანებით. დამატებით კითხვების შემთხვევაში სასტუმროებში განთავსებასთან დაკავშირებით, გთხოვთ მიმართოთ ქალბატონ სალომე დოჩიას, მობ.: +995 592 001 289, ელ. ფოსტა:
salome@timeforgeorgia.com.

შეჯიბრის საორიენტაციო განრიგი
22 ნოემბერს, ონლაინ პლატფორმაზე www.sportlab.ge გამოქვეყნდება ტურნირის შესაბამისი კატეგორიების დაწყების დრო და შეჯიბრების მონაწილეთა სიები, რის საფუძველზეც გამოქვეყნდება საბოლოო განრიგი.

დარბაზი შეჯიბრება ჩატარდება ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა 15ა, ახალი ოლიმპიური სპორტის სასახლე.



შენიშვნა:
ტურნირის ორგანიზატორები იტოვებენ უფლებას შეჯიბრის მსვლელობის პერიოდში მოახდინონ ცვლილებები, რის შესახებაც მონაწილეებს ეცნობებათ საჯაროდ.

საქართველოს სპორტული კარატეს
ეროვნული ფედერაციის გამგეობა